# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №281

# 2015 წლის 23 ივნისი

# ქ. თბილისი

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული ინფორმაციის გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის დადგენილება №274 - ვებგვერდი, 01.06.2018წ.*

**მუხლი 1**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული ინფორმაციის გადაცემის წესი.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის დადგენილება №274 - ვებგვერდი, 01.06.2018წ*

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული ინფორმაციის გადაცემის წესი

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის დადგენილება №274 - ვებგვერდი, 01.06.2018წ*

**მუხლი 1**

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული ინფორმაციის გადაცემის წესი“ მიზნად ისახავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სურსათის ეროვნულ სააგენტოსა (შემდგომში – სააგენტო) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) შორის თანამშრომლობას, სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის ფორმირებისთვის.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის დადგენილება №274 - ვებგვერდი, 01.06.2018წ*

**მუხლი 2**

1. შემოსავლების სამსახური, სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად, აწვდის ბიზნესოპერატორთა (გადასახადის გადამხდელთა) შესახებ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებულ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ფაქტობრივი მისამართ(ებ)ის შესახებ (ტერიტორიის კოდის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ბ) ერთობლივი შემოსავლის შესახებ;

გ) ტელეფონის და/ან ფაქსის ნომრისა და ელ-ფოსტის შესახებ.

2. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, დამატებით მიაწოდოს სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც მოცემული არ არის ამ მუხლის პირველ პუნქტში.

**მუხლი 3**

სააგენტო უზრუნველყოფს ბიზნესოპერატორების (გადასახადის გადამხდელთა) შესახებ მიღებული ინფორმაციის დაცვას და მის გამოყენებას, მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით.